# საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

## ბრძანება №01-6/ნ
2014 წლის 4 თებერვალი

ქ. თბილისი

## სარეზიდენტო პროგრამების დამტკიცების შესახებ

„საექიმო საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

დამტკიცდეს სარეზიდენტო პროგრამები შემდეგ საექიმო სპეციალობებში:

1. „ალერგოლოგია-იმუნოლოგია" (დანართი 1);
2. „ბავშვთა ნევროლოგია" (დანართი 2);
3. „ბავშვთა ქირურგია" (დანართი 3);
4. „გასტროენტეროლოგია" (დანართი 4);
5. „ენდოკრინოლოგია" (დანართი 5);
6. „ზოგადი ქირურგია" (დანართი 6);
7. „თერაპიული სტომატოლოგია" (დანართი 7);
8. „კარდიოლოგია" (დანართი 8);
9. „კარდიოქირურგია" (დანართი 9);
10. „ლაბორატორიული მედიცინა" (დანართი 10);
11. „მეანობა-გინეკოლოგია" (დანართი 11);
12. „ნარკოლოგია" (დანართი 12);
13. „ნევროლოგია" (დანართი 13);
14. „ნეიროქირურგია" (დანართი 14);
15. „ნეონატოლოგია" (დანართი 15);
16. „ნეფროლოგია" (დანართი 16);
17. „ონკოლოგია" (დანართი 17);
18. „ორთოდონტია" (დანართი 18);
19. „ორთოპედია/ტრავმატოლოგია" (დანართი 19);
20. „ორთოპედიული სტომატოლოგია" (დანართი 20);
21. „ოტორინოლარინგოლოგია" (დანართი 21);
22. „ოფთალმოლოგია" (დანართი 22);
23. „პათოლოგიური ანატომია - კლინიკური პათოლოგია" (დანართი 23);
24. „პედიატრია" (დანართი 24);
25. „პლასტიკური და რეკონსტრუქციული ქირურგია" (დანართი 25);
26. „პროქტოლოგია" (დანართი 26);
27. „რადიაციული თერაპია" (დანართი 27);
28. „რევმატოლოგია" (დანართი 28);
29. „რეპროდუქტოლოგია" (დანართი 29);
30. „სამედიცინო რადიოლოგია" (დანართი 30);
31. „სასამართლო მედიცინა" (დანართი 31);
32. „საოჯახო მედიცინა" (დანართი 32);
33. „სისხლძარღვთა ქირურგია" (დანართი 33);
34. „უროლოგია" (დანართი 34);
35. „ფსიქიატრია" (დანართი 35);
36. „ყბა-სახის ქირურგია" (დანართი 36);
37. „შინაგანი მედიცინა" (დანართი 37);
38. „ჰემატოლოგია/ტრანსფუზიოლოგია" (დანართი 38).

**მუხლი 2**

დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) დაიწყოს ამ ბრძანების პირველი მუხლით განსაზღვრული სარეზიდენტო პროგრამების შესაბამისად.

**მუხლი 3**
საექიმო სპეციალობის მაძიებლები/რეზიდენტები, რომელთაც დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) დაიწყეს 2013 წლის 20 დეკემბრამდე, მზადებას აგრძელებენ იმ სარეზიდენტო პროგრამების მოცულობით და ხანგრძლივობით, რომლითაც დაწყებული აქვთ მზადება.

**მუხლი 4**
ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სარეზიდენტო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 15 აგვისტოს №239/ნ ბრძანება.

**მუხლი 5**
ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
დავით სერგეენკო